

შპს „Ecoservice“

ს/კ 400074879

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

**2020 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „Ecoservice“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2013 წლის 18 იანვარს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400074879, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ერწოს ქ. #4. კორპ. 1, ბინა 60. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის წილის ფლობა განწილებულია შემდეგნაირად:

შალვა კეყერაშვილი 3/6 12001039080 – 33 %

ირაკლი მოდებაძე 3/6 12001025874 – 33 %

შავლეგ ხატიაშვილი 3/6 40001002250 – 34 %

1.3. კომპანიის დირექტორია თენგიზ ჭიჭინაძე 3/6 01002005729


1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის მომსახურება.

1.5. კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს



2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მის ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შემოღუდება.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მის ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:



(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

3. 

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.


ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

3. 

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყოს, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;


- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის

3. 

2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარმდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგება და მუხლების განმარტებითი შენიშვნები

ბალანსი:

აქტივები	31/12/2020	31/12/2019
<i>მიმდინარე აქტივები:</i>		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	285896	381001
სავაჭრო მოთხოვნები	278396	438251
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	23887	34596

3 

სასაქონლო მარაგები	77700	38141
მთლიანი მიმდინარე აქტივები	665879.00	891989.00

ძირითადი საშუალებები:		
მიწის ნაკვეთი	39055	0
დაუმთავრებელი მშენებლობა	37962	0
მანქანა - დანადგარები	881934	1102395
სამშენობლო აღჭურვილობა	4516	3707
სატრანსპორტო საშუალებები	75286	92826
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	850	960
მთლიანი ძირითადი საშუალებები	1039603	1199888

არამატერიალური აქტივები:		
აღრიცხვის პროგრამა	505	505
	0	0
მთლიანი არამატერიალური აქტივები	505	505

მთლიანი აქტივები	1705987	2092382
-------------------------	----------------	----------------

ვალდებულებები და კაპიტალი	31/12/2020	31/12/2019
მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	9884	5141
საგადასახადო ვალდებულებები	50812	27377
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	60696	32518

გრძელვადიანი ვალდებულებები:		
------------------------------------	--	--

3. ხელმოწერა

გრძელვადიანი სესხები	47573	323997
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	47573	323997
მთლიანი ვალდებულებები	108269	356515
კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1597718	1735867
მთლიანი კაპიტალი	1597718	1735867

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1705987	2092382
--	----------------	----------------

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
ფული სალაროში	57784	79534
ფული ბანკში	228112	301467
სულ	285896	381001

3.2. საფაქრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
საფაქრო მოთხოვნები	278395	438251

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
--	------------------	------------------

3. 

გადახდილი ავანსები	23886	34596
--------------------	-------	-------

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
ხელსაწყო ინსტრუმენტები	14441	10518
ნედლეული და მასალები	63258	27623
სულ	77700	38141

3.5. ძირითადი საშუალებები:

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
მიწის ნაკვეთი	39055	0
დაუმთავრებელი მშენებლობა	37962	0
მანქანა - დანადგარები	881934	1102395
საამქროს აღჭურვილობა	4517	3707
სატრანსპორტო საშუალებები	75286	92826
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	850	960
არამატერიალური აქტივები	505	505
სულ ჯამი:	1040109	1200393

ძირითადი საშუალებები მოცემულია ნარჩენი ღირებულებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 587272 ლარი

2020 წლის ბოლოს - 824583 ლარი

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

3

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
საფაქრო ვალდებულებები	9884	5141

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
საგადასახადო ვალდებულებები	50812	27377

3.8. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
საბანკო სესხი	47573	323997

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
გაუნაწილებელი მოგება	1597718	1735867

საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2020 წელი	2019 წელი
შემოსავლები	1375832	1855450
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1375832	1855450

ხარჯები		
თვითღირებულება:	658419	680446
ძირითადი მასალების დანახარჯები	88358	126701
ობიექტებზე გაწეული მომსახურების ხარჯი	110447	46638
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	175379	205186
მანქანა - დანადგარების ცვეთა	228107	210520
საწვავის ხარჯი	56128	91401

3 

სხვა საოპერაციო ხარჯები:	626871	708624
ხელფასის ხარჯი	492047	535368
ძირ.საშუალებების ცვეთა	11758	13231
საიტარო ხარჯი	5181	2534
სხვა საოპერაციო ხარჯი	117885	157491
საოპერაციო მოგება	90542	466380
არასაოპერაციო შემოსავალი	13055	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13055	0
არასაოპერაციო ხარჯი	27860	41411
საპროცენტო ხარჯი	10304	12124
საკურსო სხვაობა	7340	3145
სხვაო არასაოპერაციო ხარჯი	10216	26142
მოგება/ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	75737	424969
მოგების გადასახადის ხარჯი	18097	11237
წმინდა მოგება	57640	413732

4.1. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მიწის ჰორიზონტალური ბურღვის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.

თვითღირებულება:

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები	88358	126701
ობიექტებზე გაწეული მომსახურება	110447	46638
პირდაპირი ხელფასი	175379	205186
მანქანა - დანადგარების ცვეთა	228107	210520
საწვავი	56128	91401
სულ ჯამი:	658419	680446

4.2. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
საკანცელარიო ხარჯი	256	206
ტრანსპორტირების ხარჯი	10157	14276
კომუნიკაციის ხარჯი	1985	1950
დაზღვევა	3244	2296
ქონების გადასახადის ხარჯი	10920	10072

3 

მივლინების ხარჯი	10082	14747
ავტომატური შეკეთების ხარჯი	66315	99848
საწვავის ხარჯი	3647	6505
ბანკის საკომისიო	5937	4529
სამეურნეო ხარჯი	5342	3062
სულ ჯამი:	117885	157491

4.3. არასაოპერაციო შემოსავლები:

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
არასაოპერაციო შემოსავალი	13055	0

2020 წელს არასაოპერაციო შემოსავალი შედგება ძირითადი საშუალების რეალიზაციისაგან.

4.4. არასაოპერაციო ხარჯები:

დასახელება	2020 წელი	2019 წელი
არასაოპერაციო ხარჯები	10216	26142

2019 და 2020 წლების არასაოპერაციო ხარჯი შედგება იმ ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისაგან, რომელიც წარმოიშვა მათი რეალიზაციის შედეგად.

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება:

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	2020 წელი	2019 წელი
<i>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</i>	1735867	1443714
დივიდენდის განაწილება	195789	121579
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	57640	413732
<i>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</i>	1597718	1735867

ვასო ქლიბაძე 